პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 123 (4117)

1970 წ. 25 ივნისი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის შესახვედრად

# პირამიდის წვერი— ხალხთა სპარტაკიადა



სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ფინალურ სტარტებს წელიწადზე მეტი გვაშორებს. ამ ასპარეზობისთვის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ — 1971 წელს ხომ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს ვიზეიმებთ!

ამ ღირსსახსოვარი თარიღის შესახვედრად უკვე დღეს ემზადებიან. მასობრიობა და ოსტატობა, მუშათა და მოსამსახურეთა ხიმხნევისა და ჯანმრთელობის სამსახური, სპორტული და შრომითი მიღწევების ურთიერთშეხამება — ასეთია სპორტსაზოგადოება „განთიადის" მიზანი.

ბოლო წლების მანძილზე საზოგადოებაში დამკვიდრდა კარგი ტრადიცია — მასობრივ მუშაობაში „განთიადის" სისტემაში შემავალი ყველა პროფესიის წარმომადგენლებს აბამენ. ყოველწლიური მასობრივი ტრადიციული სპარტაკიადის სტარტზე ათასობით მეტალურგი, ფეიქარი, გემმშენებელი, დაზგათმშენებელი, ქიმიკოსი, ენერგეტიკოსი, კვების მრეწველობის მუშაკი თუ მშენებელი გამოდის.

— წლევანდელი წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და შინაარსიანია, — გვიამბობს სპორტსაზოგადოება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე. — იგი წარმოადგენს პირამიდის საძირკველს, რომლის წვერიც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა იქნება. მაღალი შედეგების მოპოვებისთვის და ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენისთვის საჭიროა უკვე დღესვე დავრაზმოთ ჩვენი საზოგადოების დროშის ქვეშ ათი ათასობით ადამიანი. საამქროებსა და განყოფილებებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში დაწყებული მასობრივი სპარტაკიადები მოწმობენ, რომ პირამიდის საძირკველი მყარია. სპარტაკიადის მთავარი საყრდენი პროფკავშირელ სპორტსმენთა დარგობრივი ფორუმებია, რომლებიც სექტემბერში უნდა ჩატარდეს. საქმე ისაა, რომ პროფკავშირთა ყოველ რესპუბლიკურ კომიტეტთან არსებობს საზოგადოებრივი დარგობრივი საბჭოები და ბიურო, რომლებშიც შედიან ხელმძღვანელი პროფკავშირული და სამეურნეო მუშაკები, საუკეთესო ინსტრუქტორები და მეთოდისტები, საზოგადოებრივი აქტივი.

საქართველოს ხაფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ფიზკულტურისა და სპორტის დარგობრივ საბჭოს ახლა მოწინავე პოზიციები უჭირავს საზოგადოებაში. ფეიქრებმა 1968 და 1969 წლებში ზედიზედ ორჯერ მოიპოვეს „დიდი თასი" საზოგადოების სპარტაკიადის ფინალური ნაწილის გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გასვლისთვის.

ფეიქრები ტონს იძლევიან ახლაც, პირველი სტარტების დღეებში. მიღებული ცნობებით, „განთიადის" წევრთა რიცხვი 2000 კაცით გაიზარდა, ფიზკულტურელთა რიცხვი — 1500-მდე. მონდომებით ემზადებიან ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის წევრებიც, რომელთაც უკვე დაამთავრეს რესპუბლიკური შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში. თავიანთ სპარტაკიადას ატარებენ კვების მრეწველობის მუშაკები. წარმატებით ასრულებენ დასახულ მიზნებს მეტალურგები, ქიმიკოსები, მშენებლები.

— გასული წლებისგან განსხვავებით, — ამთავრებს საუბარს ი. ბოჭორიძე, — შეცვლილია „განთიადის" სპარტაკიადის პროგრამაც. ახლა იგი მოიცავს არა 10, არამედ 12 სახეობას, მათ შორის, ველოსპორტს, ფარიკაობას, ძალოსნობას.

პროგრამა მართლაც საინტერესოა. „ახალი" სახეობების გარდა, რომლებიც წლეულს დაუმატეს პროგრამას, შეჯიბრებები ჩატარდება მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, ხელბურთში, ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში. ფინალური ნაწილის ძირითადი სტარტები 9-22 ოქტომბერს მოეწყობა. შეჯიბრებები ჩატარდება სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, გორში, მაგრამ მთავარი ტურნირები თბილისში გაიმართება.

დამუშავებულია ასპარეზობის საზეიმო გახსნის გეგმა. ბღლუმი, დროშის ალმართვა, ხაჩვენებელი გამოსვლები და შეჯიბრებების ნაწილი 11 ოქტომბერს მოეწყობა დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე.

ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განსაზღვრა სპარტაკიადისთვის მზადების ამოცანები ყველა რგოლისთვის. ფინალების დღეებში გამოვა საინფორმაციო ბიულეტენი. სპორტსაზოგადოებათა და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოებს დავალებული აქვთ გააძლიერონ საგიტაციო მუშაობა, განსაკუთრებით, სპორტულ ბაზებზე.

ბ. კოვალიოვი,
სპორტსაზოგადოება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს აგიტაციისა და პროპაგანდის სექციის თავმჯდომარე.

# ა. მეტრეველის კარგი სტარტი

ლონდონი, 23 ივნისი. სტარტი აიღო უიმბლდონის წლევანდელმა ტურნირმა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები. პირველ წრეში წილისყრამ ერთმანეთს შეახვედრა საფრანგეთის ღია ჩემპიონატში გამარჯვებული, ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენი ი. კოდეში და თბილისელი ა. მეტრეველი. გამარჯვებულის გამოვლენას ორი დღე დასჭირდა. გახულ ორშაბათს ორი ხელი მოიგო მეტრეველმა (6:2, 7:5), მაგრამ კოდეშმა ანგარიში გაათანაბრა — 6:3, 6:2, შებინდების გამო მატჩი გადაიდო. მეორე დღეს გათამაშდა გადამწყვეტი ხელი. მეტრეველმა გაიმარჯვა — 7:5 და მატჩიც მოიგო.

თავისი მეტოქე დაამარცხა მეორე საბჭოთა სპორტსმენმა ჯ. კოროტკოვმაც. იგი შეხვდა ავსტრალიელ მაკდონალდს — 5:7, 8:10, 6:3, 6:4, 6:4. პირველ წრეში იმარჯვა ო. მოროზოვამაც. მან სძლია უნგრელ ი. სერენის — 6:2, 6:3. ა. ვოლკოვის მეტოქე იყო სახელმოხვეჭილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი რ. ემერსონი. საბჭოთა სპორტსმენმა მარცხი იწვნია — 4:6, 2:6, 0:6. დამარცხდნენ ს. ლიხაჩოვი და თ. ლეიუსიც. პირველს მოუგო რუმინელმა ი. ცირიაკმა — 8:6, 6:2, 6:4, მეორეს — დანიელმა ი. ლეშლიმ — 6:3, 6:4, 11:9.

## —20 45

◆ კარაკასი, 24 ივნისი. აქ მიმდინარე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში 3 ტურის შემდეგ საბჭოთა დიდოსტატმა ლ. შტეინმა 2,5 ქულა დააგროვა. ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონს ა. კარპოვს 1,5 ქულა აქვს 2-დან.

◆ ვარნა, 24 ივნისი. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, რომელიც აქ დამთავრდა, გაიმარჯვა იუგოსლაველმა ა. პლანინცმა — 10,5 ქულა. სუსტად გამოვიდა მოსკოველი დიდოსტატი ლ. შამკოვიჩი (6,5), რომელმაც X-XI ადგილები გაიყო.

◆ მეხიკო, 24 ივნისი. ს. როუზი კვლავ აირჩიეს ფიფა-ს პრეზიდენტად. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის 133 ქვეყნის წევრმა ხმა მისცა ამ ერთადერთ კანდიდატურას. ურუგვაისა და სენეგალის წარმომადგენლები წინააღმდეგი წავიდნენ. სესიაზე შეიტანეს წინადადება ფიფა-ს წესდების შეცვლის თაობაზე, მაგრამ მან მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

◆ სკოპლე, 24 ივნისი. საბჭოთა დიდოსტატი მ. ტაიმანოვი კვლავ ლიდერობს „სოლიდარობის ტურნირს". 11 ტურის შემდეგ მას 8,5 ქულა აქვს. ერთი ქულით ნაკლები დააგროვა რუმინელმა დიდოსტატმა ფ. გეორგიუმ. მეორე საბჭოთა დიდოსტატს ე. ვასიუკოვს 6 ქულა აქვს (9-დან), მოსკოვის ჩემპიონს ა. ბალაშოვს — 5,5.

# მიღწევებიც და... სენსაციაც

ევროპული ჩემპიონატის ფიცარნაგმა, რომელიც უნგრეთის ქალაქ სომბათხეის კულტურის სახლშია მოწყობილი, ნამდვილად გაგვახარა მსოფლიო და კონტინენტის რეკორდებით. მაგრამ ამავე ფიცარნაგზე პირველი სენსაციის მოწმეც გავხდით.

ეს მოხდა მსუბუქი წონის ძალოსანთა ასპარეზობისას. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, ოლიმპიურ თამაშებში ორგზის გამარჯვებულმა, პოლონელმა ვ. ბაშანოვსკიმ ამჯერად წაიფორხილა. ბოლო წლებში შესანიშნავი პოლონელი ატლეტი მუდამ გამარჯვებული ტოვებდა ფიცარნაგს. ამჯერად კი იგი უნგრელმა ძალოსანმა ი. ბაგოჩმა დაჯაბნა. თუმცა, რაღა დაჯაბნაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ორივე სპორტსმენმა სამჭიდში ერთნაირი შედეგი (432,5) აჩვენა, მაგრამ პოლონელი მეტოქეზე მძიმე აღმოჩნდა და იძულებული გახდა კვარცხლბეკის II საფეხური დაეკავებინა. ევროპის ჩემპიონი პირველად გახდა ბაგოჩი. ისევე როგორც შარშან, III ადგილზე გაეიდა ბაშანოვსკის თანამემამულე ზ. კაჩმარეკი (427,5 კგ).

ამ წონაში სსრ კავშირის სპორტსმენები არ ასპარეზობდნენ. სამაგიეროდ, ნახევრად მძიმე წონაში უკვე ორი საბჭოთა ატლეტი გამოვა — მსოფლიოს, ევროპის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და რეკორდსმენი ვ. კურენცოვი და ვ. სმირნოვი.

# „დიდი კრისტალი" —მეექვსედ

ფრენბურთელ ქალთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ფინალურ შეხვედრაში მოსკოვის დინამოელებმა სძლიეს ბუდაპეშტის „ნიმს" — 3:1. პირველ შეხვედრაშიც იმავე ანგარიშით გაიმარჯვეს საბჭოთა ფრენბურთელებმა. ამიტომ მათ მეექვსედ გადაეცათ დაწესებული პრიზი — „დიდი კრისტალი".

სურათზე: მეორე ფინალური მატჩის მომენტი.

გ. იურიევის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ✦ თელავი

აქ გაიმართა კოლმეურნე ქალთა სარაიონო შეჯიბრება ფრენბურთში. ტურნირი მეტად საინტერესო და დაძაბული გამოდგა. I ადგილი წილად ხვდათ ფშაველელ ფრენბურთელებს.

შ. ჯაჭვაძე.

## ✦ მაიაკოვსკი

რამდენიმე დღე მიმდინარეობდა სარაიონო პირველობა ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „კოლმეურნის", „სპარტაკის", „შრომითი რეზერვების", ბავშვთა სპორტსკოლისა და სხვა გუნდები. ჩემპიონობა მოიპოვეს ბავშვთა სპორტსკოლის ფრენბურთელებმა.

დ. ენდელაძე.

## ✦ ასპინძა

რაიონის V საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გაიმართა შეჯიბრება ფრენბურთსა და კალათბურთში. ფრენბურთელ ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ხიზაბავრის ნაკრები, ხოლო ქალებში სოფელ იდუმალის ფიზკულტურის კოლექტივების ნაკრები გუნდი. კალათბურთში რაიონის ჩემპიონი გახდა ასპინძის კულტურის სახლის ვაჟთა კოლექტივი. ქალთა შორის გაიმარჯვა ასპინძის საშუალო სკოლის II გუნდმა.

• • •

რაიონის V საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში. 25 მეტრიდან ასპარეზობაში ყველას აჯობა ასპინძის საშუალო სკოლის ნაკრებმა. მეორენი იყვნენ იდუმალელი კოლმეურნეები, მესამენი — ჭობარეთის სპორტსმენები.

50 მეტრიდან სროლაში ტოლი არ ჰყავდათ იდუმალელ კოლმეურნეებს. მეორე ადგილი დაიკავეს ასპინძის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, მესამე — ხიზაბავრის ნაკრებმა.

ვ. ციხაძე,
ასპინძის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე.

## ✦ ადიგენი

აქ გაიმართა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რაიონული პირველობა ფრენბურთში. I ადგილი დაისაკუთრა საბჭოთა მეურნეობის ფრენბურთელთა ნაკრებმა, II — უდელმა სპორტსმენებმა, ხოლო III ვარხნის საბჭოთა მეურნეობის ფრენბურთელებმა.

ნ. მამულაშვილი.

## ✦ თერჯოლა

რაიონის ჭაბუკ ფრენბურთელთა პირველობაში I ადგილი დაისაკუთრეს ტყიბულპესის 8-წლიანი სკოლის ფრენბურთელებმა, II — ქვემო სიმონეთის კოლექტივმა, ხოლო III სიქთარვის 8-წლიანი საშუალო სკოლის სპორტსმენებმა.

ვ. კუტალაძე.

## ✦ ცხინვალი

პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სპარტაკიადაში გუნდური პირველობა მოიპოვეს ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდნენ ფიზიკა-მათემატიკის, III — ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტები.

ვ. მელქოევი.

## ✦ წალენჯიხა

აქ დიდი გამოხმაურება ჰპოვა „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს (თავმჯდომარე შ. კვარაცხელია) მიერ გამოცხადებულმა სპორტული ბაზების მოწყობის ერთთვიურმა. ახლახან შეჯამდა ამ თავისებური შეჯიბრების შედეგები. რაიონის ბევრ სოფელში მოეწყო სარბენი ბილიკები, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

ო. სალია.

## ✦ გალი

დამთავრდა „კოლმეურნის" რაიონული პირველობა კალათბურთში. 10 გუნდს შორის ყველას აჯობა თაგილონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ (მწვრთნელი რ. შარია).

გ. ჯოჯუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რესპუბლიკის სტადიონებზე

### ✦ სოხუმი

რუსთაველის სახელობის 1-ელ საშუალო სკოლაში მოეწყო სპორტული ზეიმი მოსამზადებელი, I და II კლასების მოსწავლეების მონაწილეობით. პატარები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბურთის ტყორცნაში და შაშის თამაშში. ღონისძიება საინტერესოდ ჩატარდა.

**გ. იაშვილი.**

• • •

დამთავრდა „სპარტაკის" ორგანიზაციაში შემავალი საშუალო-სპეციალური სასწავლებლების საქალაქო სპარტაკიადა. კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ინდუსტრიული ტექნიკუმის სპორტსმენებმა.

**გ. ჟორდანია.**

### ✦ ბათუმი

კარგად იმუშავა რუსთაველის სახელობის პედინსტიტუტის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ შეაჯამა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და მეორე ჯგუფის ინსტიტუტებს შორის სპორტში მოპოვებული წარმატებებისთვის ბათუმის პედინსტიტუტს მიაკუთვნა წითელი დროშა და I ხარისხის დიპლომი.

• • •

ზღვისპირა პარკის მოედანზე დამთავრდა „განთიადის" აჭარის საოლქო პირველობა ფრენბურთში. ვაჟებში ყველას აჯობა სარეცხი მანქანების ქარხნის ფრენბურთელთა ნაკრებმა, ქალებში — გემთმშენებელი ქარხნის გუნდმა.

**ო. მურვანიძე.**

### ✦ გორი

სოფლის ფეხბურთელთა 18-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა თასის გათამაშებაში, რომელიც დააწესეს გორის კომკავშირის რაიკომმა და რაიონულმა გაზეთმა „გამარჯვებამ". თასი მოიპოვეს მეჯვრისხეველმა ფეხბურთელებმა.

• • •

დამთავრდა უმცროსი და უფროსი ასაკის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება „ტყავის ბურთის" პრიზზე. უმცროსი ასაკის ფეხბურთელებს შორის გაიმარჯვეს ხელთუბნელებმა, უფროს ასაკში — მეჯვრისხეველებმა.

• • •

აქ გაიმართა რაიონის პირველობა ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 11 გუნდი. ტურნირი, რომელიც წრიული სისტემით ჩატარდა, ყველაზე იღბლიანი ატენის სპორტსმენებისთვის აღმოჩნდა. მათ გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ნაკრები და პირველი ადგილიც გაინაღდეს.

• • •

რაიონის პირადგუნდურ ასპარეზობაში ქართულ მოჭიდავეთა შორის 110 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. გუნდური I ადგილი ატენელებმა დაისაკუთრეს. პირად შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ე. რევაზიშვილმა, ა. წიკლაურმა, ე. ბზიშვილმა, ჯ. ვანიშვილმა, ა. წიქარიძემ, ნ. ლოთიშვილმა და ა. ხოდელმა.

**ი. თევდორაშვილი.**

### ✦ ჩხოროწყუ

აქ გაიმართა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა საკითხი „რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". მოხსენება გააკეთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ცირდავამ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ვ. როდონაიამ (განათლების განყოფილების გამგე), გ. თოდუამ (კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი), ჯ. ყურაშვილმა (ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე) და სხვ. სესიამ განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება.

**ს. ჯალაღონია.**

# შრომითი და სპორტული რეზერვები







შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ახლახან საბერძნეთში ვიმოგზაურე. ამ „დაუსწრებელ" სტუმრობაში დამეხმარა ერთი თბილისელი სტუდენტი, უფრო ზუსტად — მ. თოიძის სახელობის მე-11 სამხატვრო-პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ანსტი თოფუზოვი. ამ მორიდებულ ჭაბუკს ველარ იცნობთ, როცა ბერძენი ქვის მთლელების ხელოვნებაზე დაიწყებს ლაპარაკს. თავად მასაც სურს ქვის მხატვრული დამუშავების ოსტატი გახდეს. და მიაღწევს კიდეც საწადელს. მკაცრია ოსტატი ე. თავაძე, მაგრამ უკვე ორჯერ მიანდო თოფუზოვს დამოუკიდებელი სკულპტურული ნამუშევრის „საბჭოთა მეომრის" შესრულება. თავად ანესტიც ხომ ამ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა არმიიდან.

მაგრამ ანესტს მეორე დიდი გატაცებაც აქვს — სპორტი. იგი მეორეთანრიგოსანია და სასწავლებლის ველომრბოლელთა გუნდს თავკაცობს.

ამავე სასწავლებელში გავიცანი გოდერძი ოქროპირიძე. მან ჯერ ოთხი წელიც არ არის, რაც სასწავლებლის სპორტდარბაზში პირველად შედგა ფეხი და უკვე პირველთანრიგოსანია სამბოში. ახლა გოდერძი არმიაში მსახურობს, მაგრამ მშობლიურ სასწავლებელს არ ივიწყებს. საზეიმო სადამოზე, რომელიც მე-11 პროფტექნიკურ სასწავლებელში ჩატარდა, ოქროპირიძეს „სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ნორჩი მონაწილის" სამკერდე ნიშანი გადასცეს.

... ახალგაზრდა თბილისელ ველოსიპედისტებს ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩაუტარებიათ. ერთ-ერთი იყო, მაგალითად, ლაშქრობა მარშრუტით თბილისი — ულიანოვსკი. მანძილი 2610 კილომეტრს უდრიდა. მეორე ლაშქრობა: 20 ჭაბუკი ფიზაღზრდის მასწავლებელ კ. გირგიდოვის ხელმძღვანელობით არაგვზე ბაიდარებით დაეშვა მინგეჩაურის წყალსაცავამდე. 18 დღეში მათ დაახლოებით 500 კილომეტრი გაიარეს. შარშან 122 ლაშქრობა მოაწყვეს და 522 მოსწავლემ „სსრ კავშირის ტურისტის" სამკერდე ნიშანი მიიღო. ამას ახალგაზრდები ტურისტული სექციის ხელმძღვანელებს კ. გირგიდოვს და ა. თოფუზოვს უმადლიან.

14 მოსწავლეს „სსრ კავშირის ალპინისტის" სამკერდე ნიშანი აქვს. მათ ხუთი მწვერვალის დაპყრობაში მიიღეს მონაწილეობა და ერთ-ერთს „შრომითი რეზერვები" დაარქვეს.

... სპორტდარბაზი (7,5×21) ყველაზე პოპულარული ადგილია სასწავლებელში. აქ მუდამ ხალხმრავლობაა. კალათბურთელებმა, მაგალითად, შარშან ოთხი შეჯიბრება ჩაატარეს, მოჭიდავეებმა — ექვსი. მოეწყო სასწავლებლის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. რა თქმა უნდა, მარტო კ. გირგიდოვი ასეთ დატვირთვას ვერ გაუმკლავდებოდა. მას ძალიან ეხმარება აქტივი. პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ სასწავლებლის დირექტორი ა. ზედელაშვილი, აგრეთვე, ვეტერანი მოჭიდავე, „ფიზიკური კულტურის წარჩინებული", საწარმოო სწავლების ოსტატი დ. გოზალიშვილი.

ამ სასწავლებელში ბევრი კარგი სპორტსმენი აღზრდილა. დავასახელოთ, მაგალითად, სპორტის ოსტატობის კანდიდატი კლასიკურ ჭიდაობაში ჯ. კოხრეიძე, აკრობატები — სპორტის ოსტატი ჯ. იამალაშვილი, ოსტატობის კანდიდატები ნ. შავლოხოვი და ა. კოშევა. შარშან ფრენბურთელებმა ვ. ეგოროვმა და გ. ჩიკვაიძემ ვერცხლის მედლები მოიპოვეს „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირველობაში.

ჯილდოების კოლექციაში ოქროს პირველი მედალი თვით ფიზაღზრდის მასწავლებელს კ. გირგიდოვს ეკუთვნის. ეს ჯილდო — სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედალი — მან 1968 წელს მიიღო. დირექტორს ბრინჯაოს მედალი ხვდა. ბრინჯაოს პრიზიორთა შორის იყვნენ, აგრეთვე, ა. უგულავა, გ. ჩიხლაძე, დ. ეფრემიძე. 9 მოსწავლეს „სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ნორჩი მონაწილის" მედლები ხვდა.

ეს აღიარება დამსახურებული იყო. სსრ კავშირის პროფტექნიკური განათლების პავილიონში მე-11 სასწავლებლის სპორტულ ცხოვრებას ცალკე ადგილი აქვს გამოყოფილი. აქ ნაამბობია 9 სექციის აღზრდილთა რეგულარულ წვრთნაზე, საინტერესო და ხალხმრავალ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებზე, საწარმოო ტანვარჯიშზე. მაგრამ გამოფენის მნახველებმა შეიძლება არაფერი იცოდნენ ერთ კაცზე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მთელს ამ წარმატებაში. ესაა კონსტანტინე გირგიდოვი, რომელიც 9 წელია ხელმძღვანელობს სასწავლებლის სპორტულ რაზმეულს. იგი ალბათ ერთადერთი სპორტსმენია საქართველოში, რომელიც ტურიზმის ერთბაშად სამ სახეობაში ოსტატობის კანდიდატი. 18 წლის ჭაბუკებს 37 წლის ასაკში ყველა ვერ ჩამოიტოვებს. გირგიდოვს კი ეს შეუძლია. რამდენ ხერხიერობას მოითხოვს თუნდაც მარტო ერთი შეჯიბრების ჩატარება. არ დაგავიწყდეთ, რომ სასწავლებელში თითქმის ყველა (746 ფიზკულტურელი ჰყავთ) სპორტული ბატალიების მონაწილეა.

ალბათ ყოველივე ამისთვის აღიარეს თოიძის სახელობის სასწავლებლის ფიზკულტურული ორგანიზაცია საქართველოს „შრომითი რეზერვების" კოლექტივებს შორის საუკეთესოდ. დიახ, ამ სასწავლებელში მარტო შრომით კი არა, სპორტულ რეზერვებსაც ზრდიან. ამას ადასტურებს ციფრები: შარშან მოამზადეს ერთი სპორტის ოსტატი, 4 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 56 პირველი და 269 მეორე თანრიგის სპორტსმენი.

**ვ. გუკია.**

• • •

სურათებზე: მუშაობს ა. თოფუზოვი; კროსმენთა ერთ-ერთი შეჯიბრების მომენტი; ხალიჩაზე მოჭიდავეები არიან.

ავტორის ფოტო.

# ყოჩაღ, დუშელებო!

ჭაბუკ სამბისტთა რესპუბლიკურ პირადგუნდურ პირველობაში სპორტსაზოგადოებათა 140-მდე ათლეტი მონაწილეობდა.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები განაწილდა ასე: 1. „დინამო", 2. „კოლმეურნე", 3. „ლოკომოტივი".

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. აგახაროვი („ლოკომოტივი"), ა. ობგაიძე („კოლმეურნე"), თ. მარქაროვი („სპარტაკი"), ა. ხუციშვილი („კოლმეურნე"), თ. ქონიაშვილი („სპარტაკი"), ს. ბერიშვილი, გ. სვეტაილო, ჯ. კმილაშვილი (სამივე — „დინამო"), ა. ბარკალაევი („კოლმეურნე"), რ. ჭიკაიძე („ლოკომოტივი").

ქებას იმსახურებენ დუშელი სამბისტები, რომელთაგანაც დაკომპლექტებული იყო „კოლმეურნის" გუნდი. დუშელებმა კარგი მომზადება გამოავლინეს (მწვრთნელი ო. ნათელაშვილი) და სპეციალისტთა მოწონებაც დაიმსახურეს.

**ა. ქიზიროსაშვილი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

# ამჯერად — სასკოლო კოლექტივები...

ამჯერად ტრადიცია დაირღვა: შეჯიბრებაში თბილისის რაიონების ნაკრები გუნდების მაგიერ სასკოლო კოლექტივების მძლეოსნები მონაწილეობდნენ.

თბილისის 116-ე საშუალო სკოლის დირექტორი მარიამ ფილიშვილი სპორტსმენთა დიდი მეგობარია. მართალია, პირობები მაინცდამაინც არ უწყობს ხელს (სპორტდარბაზი 10×5 მეტრია, ეზო—30×7 მ), მაგრამ სკოლაში მძლეოსნობა მაინც სათანადო დონეზე დგას. განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს სასკოლო ტურნირი, რომელსაც „ილიჩის შვილიშვილები" უწოდეს. ყველას აჯობეს მე-5-გ კლასის წარმომადგენლებმა, რომელთა კაპიტანია 12 წლის ლ. ივანოვა. სწორედ მან მოიგო სიგრძეზე ხტომა (430 სმ) და 60 მეტრზე რბენა (8,8 წამი).

116-ე სკოლის მოსწავლეები საქალაქო ტურნირისთვის გულმოდგინედ მოემზადნენ და პიონერულ ოთხჭიდში „მეგობრობა" (ასპარეზობდნენ 13-14 წლის ბავშვები) პირველობაც დაისაკუთრეს. ამ სკოლის გუნდის წევრმა ვ. შმაკოვამ 245 ქულის მოგროვება შესძლო და გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ შმაკოვას სულ რაღაც 5 ქულით აჯობა ბიჭებში უძლიერესმა რ. გასპაროვმა (43-ე სკოლა).

„ოლიმპიური გაზაფხულის" (15-16 წლის ბავშვები) ტურნირი 108-ე სკოლის მეგობრულმა კოლექტივმა მოიგო. ხუთჭიდში საუკეთესონი იყვნენ: გოგონებში — თ. ლოლაძე (43-ე სკოლა) — 367 ქულა, ჭაბუკებში — ნ. ტიროიანი (64-ე სკოლა) — 338.

17-18 წლის სპორტსმენთა ტურნირი „ოქროს გაზაფხულის" სახელით ჩატარდა. გუნდურ ჩათვლაში პირველობა ხვდა მე-19 სკოლის გუნდს. პირადი პირველობიდან რამდენიმე შედეგს დავასახელებთ. მე-13 სკოლის ხუთმა მოსწავლემ უძლიერესის სახელი მოიხვეჭა. ბ. პრესნოვი 185 სმ სიმაღლეზე გადახტა, გ. კოზირევმა ბირთვი 11,64 მეტრზე ჰკრა, მ. გუსოევამ — 7,92 მეტრზე, ლ. ნაზარიკოვამ მოიგო სიგრძეზე (458 სმ) და სიმაღლეზე (125) ხტომა. სიგრძეზე მხტომელ ჭაბუკთა შეჯიბრებაში ვ. ბერიაშვილმა (72-ე სკოლა) და ს. რომანოვსკიმ (მე-19 სკოლა) ერთნაირი შედეგით (563 სმ) გაიმარჯვეს. 400 მეტრზე რბენაში საუკეთესო იყო საქართველოს ნაკრების წევრი ლ. ჭარბაძე (64-ე სკოლა) — 1.02,6.

**ვ. ბუკინი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

## ნორჩთა აღმზრდელი

დაბა აგარის საშუალო სკოლის სპორტდარბაზში ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ლურსმანაშვილი შემოგვეგება. მან 14 წელია ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტი დაამთავრა. მას შემდეგ იგი ჯერ ბრეთის საშუალო სკოლაში მუშაობდა, აგარაში კი მეექვსე წელია გადმოვიდა და მზრუნველობას არ აკლებს ახალგაზრდობას. ამ სკოლაში 1300 მოსწავლეა და მათი უმრავლესობა კალათბურთის, ჭადრაკის, მძლეოსნობის სექციებშია ჩაბმული.

შარშან ლურსმანაშვილის მოსწავლემ, მერვეკლასელმა ს. ლუკინმა საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა სიმაღლეზე ხტომაში (უმცროსი ასაკი), რ. მურჯიკნელმა საპრიზო ადგილი დაიკავა სიგრძეზე ხტომაში.

ასევე შარშან, ბათუმში გამართულ ნორჩ მძლეოსანთა შეჯიბრებაში საუკეთესოდ აღიარეს 12 წლის ლია ლურსმანაშვილი, რომელიც ამჟამად თბილისის I სკოლა-ინტერნატის მოსწავლეა. ახლა ლია საკავშირო შეჯიბრებისთვის ემზადება. იმედია, რომ აღმზრდელს კიდევ ბევრ სიხარულს მოჰგვრიან მისი აღსაზრდელები.

**დ. მურმანიშვილი.**
ქარელის რაიონი.




# მსოფლიო პირველობა

მეხიკო 1970 ფეხბურთი IX MEXICO

მეხიკო, 23 ივნისი. ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდებიდან სპეციალური პრიზი — „კორექტული თამაშისთვის“ გადაეცა პერუს ნაკრებს. ასე გადაწყვიტა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ. პერუელ ფეხბურთელებს 4 მატჩის განმავლობაში მსაჯებისგან არ მიუღიათ არც ერთი გაფრთხილება.

## ყველაზე კორექტული...

## „ოქროს სასტვენის“ მფლობელნი

ყოველი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს სჯის საუკეთესო არბიტრი, რომელსაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია აჯილდოებს ე. წ. „ოქროს სასტვენით“. წლეულს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მსაჯი იყო რ. გლიოკნერი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, რომელმაც მაღალ დონეზე ჩაატარა ბრაზილია — იტალიის ფინალური შეხვედრა.

მოგვყავს ყველა ჩემპიონატის საუკეთესო მსაჯთა სია:

1930 წელი—ლანგენუსი (ბელგია),

1934 წელი—ეკლინდი (შვეცია),

1938 წელი — კარდევილი (საფრანგეთი),

1950 წელი — რედერი (ინგლისი),

1954 წელი — ლინგი (ინგლისი),

1958 წელი — გიგი (საფრანგეთი),

1962 წელი — ლატიშევი (სსრ კავშირი),

1966 წელი — დინსტი (შვეიცარია),

1970 წელი—გლიოკნერი (გდრ).





არც ერთ მსოფლიო ჩემპიონს არ ჰქონია ფინალურ შეხვედრაში ისეთი დიდი უპირატესობა, როგორიც ბრაზილიას წლევანდელ გათამაშებაში. უაღრესად მშვიდი, რაციონალური და ამავე დროს არტისტიზმით აღსავსე თამაშით მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა საყოველთაო მოწონება და სიმპათიები დაიმსახურეს. სპეციალისტთა საერთო აღიარებით, ბრაზილიას არასდროს არ ჰყოლია ასეთი ძლიერი და ღირსეული ნაკრები. მით უკეთესი — ოქროს ქალღმერთი რჩეულთა შორის რჩეულს დარჩა სამუდამოდ!

სურათზე: ზევით— ფინალური მატჩის მომენტი; ქვევით — პელე ჟიულ რიმეს თასით ხელში.

# ევროპაც და ლათინური ამერიკაც

IX მსოფლიო ჩემპიონატმა ერთგვარად შეაჯამა ორი საფეხბურთო კონტინენტის — ევროპისა და ლათინური ამერიკის დავა პრიორიტეტისთვის. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მთავარი პრიზი — ოქროსფრთებიანი ქალღმერთი ლათინურ ამერიკაში დასახლდა სამუდამოდ. ცხადია, თუ ამის მიხედვით ვიმსჯელებთ, საკითხი გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ფინალისტების გარდა ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ევროპისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებიც. ამ წერილში სწორედ მათს ბრძოლაზე გვექნება საუბარი.

ევროპა მექსიკის ჩემპიონატში წარმოდგენილი იყო 9 ქვეყნით, ლათინური ამერიკა — 5-ით. როგორი მაჩვენებლებით დაამთავრეს მათ ჩემპიონატი? როგორ განლაგდნენ სატურნირო ცხრილში?

ევროპა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 6 | 3 | 2 | 1 | 10—8 | 8 |
| 2. გფრ | 6 | 5 | 0 | 1 | 17—10 | 10 |
| 3. სსრ კავშირი | 4 | 2 | 1 | 1 | 6—2 | 5 |
| 4. ინგლისი | 4 | 2 | 0 | 2 | 4—4 | 4 |
| 5. შვეცია | 3 | 1 | 1 | 1 | 2—2 | 3 |
| 6. რუმინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4—5 | 2 |
| 7. ბელგია | 3 | 1 | 0 | 2 | 4—5 | 2 |
| 8. ბულგარეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 5—9 | 1 |
| 9. ჩეხოსლოვაკია | 3 | 0 | 0 | 3 | 2—7 | 0 |

ლათინური ამერიკა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია | 6 | 6 | 0 | 0 | 19—7 | 12 |
| 2. ურუგვაი | 6 | 2 | 1 | 3 | 4—5 | 5 |
| 3. მექსიკა | 4 | 2 | 1 | 1 | 6—4 | 5 |
| 4. პერუ | 4 | 2 | 0 | 2 | 9—9 | 4 |
| 5. სალვადორი | 3 | 0 | 0 | 3 | 0—9 | 0 |

მართალია, ჩემპიონატის მანძილზე ევროპამ უფრო მეტი შეხვედრა ჩაატარა, ვიდრე ლათინურმა ამერიკამ, მათი მაჩვენებლები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

| | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|
| ევროპა | 15 | 5 | 15 | 54—52 |
| ლათინური ამერიკა | 12 | 2 | 9 | 38—34 |

მაგრამ ნამდვილი შედარებისთვის მხოლოდ ის მატჩები უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომლებიც ამ კონტინენტის გუნდებმა ერთმანეთში ჩაატარეს. სულ გაიმართა 15 ასეთი მატჩი.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ევროპა | 15 | 6 | 2 | 7 | 20—19 | 14 |
| ლათინური ამერიკა | 15 | 7 | 2 | 6 | 19—20 | 16 |

როგორც ხედავთ, ლათინური ამერიკის მაჩვენებლები ოდნავ უკეთესია და ეს წყვეტს კიდეც დავის ბედს. აი, ვინ რამდენი ქულა შესძინა თავის კონტინენტს:

| ევროპა | | ლათინური ამერიკა | |
|---|---|---|---|
| გფრ | — 4 | ბრაზილია | — 8 |
| იტალია | — 3 | მექსიკა | — 3 |
| სსრ კავშირი | — 3 | ურუგვაი | — 3 |
| ბელგია | — 2 | პერუ | — 2 |
| შვეცია | — 2 | | |

ევროპისა და ლათინური ამერიკის გუნდების ურთიერთშეხვედრებში სულ 39 გოლი გავიდა, 20 გოლის ავტორები ევროპელები არიან, 19-ისა—ლათინური ამერიკის წარმომადგენლები. აი, ისინიც:

| ევროპა | | ლათინური ამერიკა | |
|---|---|---|---|
| მიულერი (გფრ) | — 3 | ჟაირზინიო (ბრაზილია) | — 5 |
| ბიშოვეცი (სსრკ) | — 2 | პელე (ბრაზილია) | — 4 |
| ვან მური (ბელგია) | — 2 | კუბილასი (პერუ) | — 2 |
| რივა (იტალია) | — 2 | პენია (მექსიკა) | — 1 |
| ლამბერტი (ბელგია) | — 1 | რიველინო (ბრაზილია) | — 1 |
| დუმიტრაკე (რუმინეთი) | — 1 | კ. ალბერტო (ბრაზილია) | — 1 |
| დემბროვსკი (რუმინეთი) | — 1 | ბერსონი (ბრაზილია) | — 1 |
| პეტრაში (ჩეხოსლოვაკია) | — 1 | გონზალესი (მექსიკა) | — 1 |
| გრანი (შვეცია) | — 1 | ესპარაგო (ურუგვაი) | — 1 |
| დერმენჯიევი (ბულგარეთი) | — 1 | გალარდო (პერუ) | — 1 |
| ბონევი (ბულგარეთი) | — 1 | ჩუმპიტასი (პერუ) | — 1 |
| დომენგინი (იტალია) | — 1 | | |
| რივერა (იტალია) | — 1 | | |
| ბონინსენია (იტალია) | — 1 | | |
| ოვერატი (გფრ) | — 1 | | |

ხშირად ორი კონტინენტის ფეხბურთელთა შეჯიბრების საფუძვლად ჩემპიონატის საბოლოო შედეგებს იღებენ. პრიზიორთა ოთხეულის მიხედვით მდგომარეობა თითქმის თანაბარია (I და IV ადგილები II და III ადგილების წონასწორდებ). თუ მხედველობაში მივიღებთ უძლიერესთა ხუთეულის საბოლოო შედეგებს, ერთგვარი უპირატესობა ევროპელთა მხარესაა. მეოთხედფინალებმა უპირატესობა ვერც ერთ კონტინენტს ვერ მიანიჭა, ვინაიდან ევროპაცა და ლათინური ამერიკაც 4-4 გუნდით იყვნენ წარმოდგენილი. დარჩა ათეული: აქ კი ევროპის უპირატესობა აშკარაა, ვინაიდან ძველი სამყარო ათეულში 6 გუნდით გავიდა.

## მისაბაძი თაოსნობა

საჭადრაკო ამოცანების შედგენის ისტორია უხსოვარი დროიდან იწყება. არაბულმა მანსუბებმა (ამოცანებმა) ჩვენამდეც მოაღწიეს. მაგრამ საჭადრაკო კომპოზიტორთა კონკურსების გამართვის ტრადიციას მხოლოდ XIX საუკუნეში მიეცა დასაბამი. სახელდობრ, რუსეთში პირველი კონკურსი 1886 წელს ჩატარდა.

უამრავი კონკურსი ტარდება სსრ კავშირში, განსაკუთრებით ბოლო წლებში. ეს კონკურსები დიდძალ მონაწილეს იზიდავს. 1947 წლიდან საქართველოშიც გახშირდა რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო კონკურსები, რომელთაც ფიზკულტურული ორგანიზაციები და ჟურნალ-გაზეთების რედაქციები აწყობენ. ერთხელ საჭადრაკო კომპოზიციაში საქართველოს პირველობაც ჩატარდა. როგორც წესი, კონკურსში გამარჯვებულთ ფასიანი საჩუქრებით, სიგელებით ან მოწმობებით აჯილდოებენ, მათს ნაწარმოებს კი საჭადრაკო პრესაში აქვეყნებენ.

ამ დამკვიდრებულ წესს გორის სპორტის მესვეურებმა ერთი სიახლე დაუმატეს. როგორც ცნობილია, გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა (თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი) ამას წინათ ჩაატარა ვ. ქარსელაძის მემორიალი — საკავშირო კონკურსი საჭადრაკო კომპოზიციაში. მემორიალს დიდი გამოხმაურება ჰქონდა. მისი შედეგები „ლელოშიც“ გამოქვეყნდა.

კონკურსის შედეგების შეჯამება გორელებმა საზეიმო ვითარებაში გადაწყვიტეს. მათ გორში მიიწვიეს მემორიალის პირველი ლაურეატები და მსაჯები. ეს იმდენად უჩვეულო რამ იყო, რომ მხოლოდ რამდენიმე კომპოზიტორი ჩამოვიდა: საჭადრაკო კომპოზიციაში სსრ კავშირის ჩემპიონი, მოსკოველი საერთაშორისო ოსტატი ი. ვლადიმიროვი, უკრაინელი საერთაშორისო ოსტატი ვ. რუდენკო, ცნობილი თბილისელი ეტიუდისტი ვ. კალანდაძე და სხვები. გორს ჩამოვიდა, აგრეთვე, ჭადრაკში საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი, ცნობილი პრობლემისტი რ. თავარიანი.

კომპოზიტორები გორში სამ დღეს დარჩნენ. მათ აქაური კოლეგებიც შეხვდნენ და ყველამ მიიღო მონაწილეობა მემორიალის საზეიმო დახურვის ცერემონიალში, რომელიც გ. ერისთავის სახელობის თეატრის შენობაში საქართველოს ქალთა VI საერთაშორისო ტურნირის დახურვასთან ერთად მოეწყო. ლაურეატებს ჯილდოები გადაეცათ.

— ჩვენი შეხვედრა გორში მხოლოდ მემორიალის შედეგების საზეიმო შეჯამებით როდი იყო საინტერესო, — გვითხრა ი. ვლადიმიროვმა, — სტუმარ-მასპინძლებმა ერთმანეთი გავიცანით, ბევრი ვისაუბრეთ კომპოზიციის საჭირბოროტო საკითხებზე, ახალი ნაწარმოებები ვუჩვენეთ ერთმანეთს. გორელთა ინიციატივა მისაბაძია.

სხვათა შორის, ი. ვლადიმიროვის თაოსნობით კომპოზიტორებმა ქალთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი ელვისებური თამაშის მატჩში გამოიწვიეს. ორთაბრძოლა 6 დაფაზე გაიმართა და ქალებმა გაიმარჯვეს — 5:1. ქალთა გუნდში იყვნენ ა. ნიკოლაუ, ე. რუბცოვა, თ. ხუგაშვილი, ც. კობაიძე, ნ. ალექსანდრია და ო. ანდრეევა.

— საქართველოში პირველად ჩამოვედი და დიდი შთაბეჭდილებებით ვბრუნდები შინ, — გვითხრა ვ. რუდენკომ. — კომპოზიტორთა თავშეყრამ ბევრი შემძინა.

თ. გიორგაძე.

## მძლეოსნები სტადიონზე

ოჩამჩირის „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე ჩატარდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა მძლეოსნობაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ზუგდიდის, მახარაძის, წითელი წყაროს, სამტრედიის, დუშეთის, გარდაბნის, ბოგდანოვკის, წულუკიძის, ცხაკაიას, საჩხერის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ჩოხატაურის, ხობის, ახალციხისა და სხვა 23 კოლექტივის 300-მდე სპორტსმენი.

გუნდური I ადგილი დაიკავა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივმა — 13896 ქულა, II ადგილზეა აფხაზეთის გუნდი — 12903, III — ზუგდიდის მძლეოსნები — 12041 ქულა. მონაწილეებმა აჩვენეს 1 ოსტატობის კანდიდატის, 6 პირველი თანრიგისა და 200-მდე სხვა თანრიგის შედეგები.

რ. მელუა.

ოჩამჩირე.

## „ბ" კლასი

### II ზონა

23 ივნისს გაიმართა „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ შემდეგი ქალაქებიდან:

### ტყიბული...

აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეშახტე" და ცხინვალის „სპარტაკი". ტყიბულელებმა სწრაფი, ხანგრძლივი იერიშებით დაიწყეს თამაში. „სპარტაკის" კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ ხანი გადიოდა და გოლი არ ჩანდა. გარდა ამისა, რომ კარგად თამაშობდა სტუმართა დაცვა, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს მიქაშავიძემ, თოდიძემ, ქელიძემ, ბოლოს 30-ე წუთზე, „მეშახტის" ერთ-ერთი იერიში გოლით დაამთავრა ფენდერავამ — 1:0. შემდგომში სპარტაკელებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და თამაშის გადაყვანა შუა მინდორში.

მეორე ტაიმი კვლავ მასპინძელთა უპირატესობით აღინიშნა და ისევ არაზუსტად თამაშობდნენ გადამწყვეტ მომენტებში ფორვარდები.

მე-80 წუთზე სპარტაკელებმა უმეთვალყუროდ დატოვეს მესიაჩენკო და მისი დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 2:0 „მეშახტის" სასარგებლოდ.

ზ. ჯორჯაძე.

### ვანი...

„ბ" კლასის დებიუტანტმა — ადგილობრივმა „სულორმა" მიიღო გათამაშების ლიდერთა შორის მყოფი თელავის „კახეთი". შეხვედრამ თავიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო. ორივე გუნდი მოქმედებდა სწრაფ ტემპში, ხშირად ახორციელებდა შეტევას. ერთ-ერთ ასეთ მომენტში მე-19 წუთზე თელაველ რეხვიაშვილს მიეცა ზუსტი დარტყმის საშუალება და ანგარიშიც გაიხსნა.

ვანელი ფეხბურთელები არ შეუშინდნენ მარცხს. მათი ენერგიული, მონდომებული იერიშები დამთავრდა ოჩხიკიძის მიერ გატანილი საპასუხო გოლით — 1:1.

განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს მასპინძლებმა მატჩის მეორე ნახევარი. ისინი იბრძოდნენ კოლექტიურად, ენერგიულად და საბოლოოდ დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს. მეორე გოლი „კახეთის" კარში გაიტანა ჩახნაშვილმა, მესამე — ბარდაკოვმა — 3:1.

ა. ნიკოლეიშვილი.

• • •

ამ დღეს რუსთავის „მეტალურგმა" გურჯაანში დაამარცხა ადგილობრივი

## სსრ კავშირის პირველობა

„ალაზანი" — 1:0. ფოთის „კოლხეთისა" და ნოვოროსიისკის „ცემენტის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. წარმატებას მიაღწია მახარაძის „მერცხალმა", რომელმაც თავის მინდორზე მოუგო გათამაშების ლიდერს — ეისკის „ტორპედოს" — 2:1.




გატყობინებთ „ა" კლასის II ჯგუფის II ზონის გუნდების 2 შეხვედრის შედეგს. რიბინსკის „სატურნმა" ანგარიშით 3:0 დაამარცხა ტულის „მეტალურგი", ხოლო პიატიგორსკის „მაშუკმა" შინ წააგო მაიკოპის „დრუჟბასთან" — 0:1.

## II ჯგუფი „ბ" კლასი

### II ზონა

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 4:3. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

პირველ ტაიმში გორელ ფეხბურთელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ, რაც დამთავრდა ბუზალაძის, ნოზაძისა და რევაზიშვილის მიერ გატანილი 3 გოლით. თითქოს, საქმე მოთავებული იყო, მაგრამ ფიოდოროვმა ტაიმის დასასრულს შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა, ხოლო შემდეგ ჩიხრაძემ ზედიზედ ორჯერ გამოატანინა ბურთი „ქართლის" მეკარეს ბადიდან — 3:3. გორელებმა მატჩის დასასრულს კვლავ განავითარეს ძლიერი იერიშები და ლონდაძემ გადამწყვეტი ბურთი გაგზავნა „ვარკეთილის" კარში.

● ასკ (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:2. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და 27-ე წუთზე ზესტაფონელთა ერთ-ერთი იერიში გოლით დაამთავრა ტოგონიძემ. მეორე ტაიმის დასაწყისში ქათამაძემ კიდევ ერთხელ აიღო არმიელთა კარი, რასაც ამ უკანასკნელებმა მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხეს (ბარათიანი). თბილისელებს კიდევ ჰქონდათ გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ მათი თავდამსხმელების უზუსტო დარტყმების გამო ანგარიშის გათანაბრება არ მოხერხდა.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ციხკარი" (სიღნაღი) 1:0. მსაჯი ნ. აშირეჯიბა (თბილისი).

● „მესხეთი" (ახალციხე) — „ეგრისი" (ცხაკაია) 0:4. მსაჯი თ. კუსიდი (ბათუმი).

II ჯგუფი. I ზონა. „მევენახე" (ბოლნისი) — „არაგვი" (მცხეთა) 3:0, „დურუჯი" (ყვარელი) — „არაგვი" (დუშეთი) 2:0, „ვარძია" (ასპინძა) — „აბული" (ახალქალაქი) 2:0, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „გარეჯი" (საგარეჯო) 1:2, „მევენახე" (ვაზისუბანი) — „შევარდენი" (თბილისი) 2:2, „სპარტაკი" (რუსთავი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 5:0, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „მშენებელი" (წალკა) 6:2.

II ზონა. „განთიადი" (აბაშა) — „განახლება" (ადიგენი) 0:0, „კოლმეურნე" (ქედა) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:0, „ჟოროხი" (ბათუმი) — „დინამო" (ქუთაისი) 1:0, „სამეგრელო" (ზუგდიდი) — „ივერია" (ხაშური) 0:0, „მექანიკოსი" (სამტრედია) — „კოლხეთი" (ხობი) 0:1, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 2:1.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

● „ისანი" (თბილისი) — „ენგური" (ზუგდიდი) 0:0. მსაჯი ზ. კოდუაშვილი (გაგრა).

● „მზიური" (გალი) — „მალთაყელი" (ჭიათურა) 4:0. მსაჯი გ. ხართანია (ზუგდიდი).

● „მშენებელი" (ბორჯომი) — „გიგანტი" (ლაითური) 0:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „სინათლე" (თბილისი) 4:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

მატჩი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიმდინარე გათამაშებაში, დაიწყო სამტრედიელთა ძლავრი იერიშებით და უკვე მე-9 წუთზე კოხრეიძემ ზუსტი დარტყმით აიღო მეტოქის კარი. გავიდა ცოტა ხანი და მეტრეველმა საჯარიმო დარტყმით ანგარიში აიყვანა 2:0-მდე, ხოლო ტაიმის დასასრულამდე მანჯგალაძემ კიდევ ერთხელ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. ცხადი იყო, რომ სამტრედიელი ფეხბურთელები აღარ დათმობდნენ გამარჯვებას. ასეც მოხდა. მასპინძლებმა ბოლომდე აქტიურად ითამაშეს, შესვენების შემდეგ ორივე კარში თითო ბურთი გავიდა და ლიდერმა დამსახურებული გამარჯვება იზეიმა.

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „სქური" (წალენჯიხა) 0:1. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).

წალენჯიხელებმა კარგად დაიწყეს თამაში და უკვე მე-8 წუთზე ნ. კვარაცხელიამ კოკაიას გადაცემიდან გაიტანა ბურთი „ბახმაროს" კარში. ეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა, თუმცა ჩოხატაურელებს ცდა არ დაუკლიათ დაეღწიათ თავი დამარცხებისთვის.

● „ფეიქარი" (წულუკიძე) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი ნ. მიმინოშვილი (თბილისი).

### გათამაშების ცხრილები

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 25 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 22 | 12 | 7 | 3 | 51—18 | 31 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 21 | 13 | 5 | 3 | 41—24 | 31 |
| ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) | 22 | 10 | 9 | 3 | 34—19 | 29 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 21 | 10 | 8 | 3 | 29—14 | 28 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 22 | 11 | 6 | 5 | 34—21 | 28 |
| „ისანი" (თბილისი) | 22 | 7 | 13 | 2 | 21—15 | 27 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 22 | 10 | 7 | 5 | 30—31 | 27 |
| „სინათლე" (თბილისი) | 22 | 9 | 7 | 6 | 33—25 | 25 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 22 | 8 | 9 | 5 | 28—20 | 25 |
| „მზიური" (გალი) | 22 | 7 | 11 | 4 | 25—19 | 25 |
| „სამცხე" (აწყური) | 21 | 7 | 11 | 3 | 20—18 | 25 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 22 | 6 | 10 | 6 | 26—27 | 22 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 21 | 4 | 10 | 7 | 23—25 | 18 |
| ასკ (თბილისი) | 22 | 6 | 5 | 11 | 21—30 | 17 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 22 | 5 | 7 | 10 | 17—28 | 17 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 22 | 3 | 11 | 8 | 13—34 | 17 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 22 | 4 | 9 | 9 | 18—34 | 17 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 20 | 4 | 8 | 8 | 23—25 | 16 |
| „ციხკარი" (სიღნაღი) | 22 | 3 | 9 | 10 | 13—23 | 15 |
| „მალთაყელი" (ჭიათურა) | 22 | 4 | 7 | 11 | 28—40 | 15 |
| „მშენებელი" (ბორჯომი) | 22 | 3 | 6 | 13 | 18—33 | 12 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 22 | 3 | 5 | 14 | 20—48 | 11 |

#### II ჯგუფი

მდგომარეობა 25 ივნისისთვის

##### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 11 | 9 | 1 | 1 | 37—13 | 19 |
| „სპარტაკი" (რუსთავი) | 12 | 7 | 3 | 2 | 21—14 | 17 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 11 | 4 | 6 | 1 | 23—14 | 14 |
| „ვარძია" (ასპინძა) | 10 | 6 | 2 | 2 | 19—10 | 14 |
| „მევენახე" (ვაზისუბანი) | 11 | 6 | 2 | 3 | 25—17 | 14 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 11 | 6 | 2 | 3 | 19—14 | 14 |
| „მევენახე" (ბოლნისი) | 12 | 5 | 3 | 4 | 21—16 | 13 |
| „მშენებელი" (წალკა) | 12 | 5 | 3 | 4 | 17—18 | 13 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 11 | 6 | 0 | 5 | 16—11 | 12 |
| „შირაქი" (წითელი წყარო) | 11 | 4 | 1 | 6 | 5—20 | 9 |
| „აბული" (ახალქალაქი) | 12 | 3 | 2 | 7 | 18—21 | 8 |
| „ბარისი" (თეთრი წყარო) | 11 | 2 | 3 | 6 | 15—23 | 7 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 11 | 2 | 3 | 6 | 12—21 | 7 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 11 | 1 | 2 | 8 | 7—17 | 4 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 11 | 1 | 1 | 9 | 14—40 | 3 |

##### II ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ივერია" (ხაშური) | 10 | 6 | 3 | 1 | 10—2 | 15 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 10 | 5 | 4 | 1 | 11—5 | 14 |
| „ჟოროხი" (ბათუმი) | 10 | 6 | 1 | 3 | 12—6 | 13 |
| „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) | 10 | 3 | 7 | 0 | 10—6 | 13 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 9 | 5 | 1 | 3 | 8—7 | 11 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 10 | 4 | 2 | 4 | 10—7 | 10 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 9 | 3 | 4 | 2 | 7—6 | 10 |
| „განთიადი" (აბაშა) | 11 | 2 | 5 | 4 | 9—13 | 9 |
| „განახლება" (ადიგენი) | 9 | 3 | 2 | 4 | 6—12 | 8 |
| „კოლმეურნე" (ქედა) | 10 | 3 | 2 | 5 | 7—14 | 8 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 10 | 3 | 1 | 6 | 12—14 | 7 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 9 | 2 | 2 | 5 | 11—12 | 6 |
| „მექანიკოსი" (სამტრედია) | 9 | 1 | 0 | 8 | 7—16 | 2 |




## კორტებზე — სამი ელერდაშვილი!



ჩოგბურთელთა გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, გორის, რუსთავის, ფოთისა და გარდაბნის ნაკრებმა კოლექტივებმა. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება თბილისის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებმა მოიპოვეს. მათ ვერც ერთმა სხვა კოლექტივმა ვერ გაუწია რამდენადმე თანაბარი მეტოქეობა. ეს კვლავ მიგვანიშნებს, რომ რესპუბლიკის დანარჩენ ცენტრებში ჩოგბურთი კვლავ სუსტად ვითარდება. საკმარისია ითქვას, რომ თბილისელმა ჭაბუკებმა ჭიათურელები და გარდაბნელები დაამარცხეს ერთნაირი ანგარიშით — 4:0, ხოლო ფინალში აფხაზეთის ნაკრებს მოუგეს ანგარიშით 5:0. III ადგილზე გავიდა აჭარის ნაკრები, რომელმაც ამ ადგილისთვის ბრძოლაში მოუგო მატჩი გარდაბნის გუნდს — 3:1. ზუსტად ასეთივე სურათი განმეორდა გოგონათა გუნდების ასპარეზობისას: თბილისელმა გოგონებმა ისეთივე ანგარიშით მოუგეს იმავე კოლექტივების წარმომადგენლებს. მესამე იყო გარდაბნის გუნდი, რომელმაც ამ ადგილისთვის ბრძოლაში დაამარცხა აჭარის ნაკრები — 3:2.

პერიფერიებში ჩოგბურთის ჩამორჩენის მიზეზი ისიც გახლავთ, რომ რესპუბლიკის საერეწველო და რაიონულ ცენტრებში არა გვყავს გამოცდილი სპეციალისტები. იგივე დაადასტურა პირადმა ასპარეზობამაც, სადაც თბილისელთა უპირატესობა ასევე აშკარა იყო.

ერთეულთა შორის პირადი პირველობა 4 ასაკობრივ ჯგუფად გათამაშდა (1952-53, 1954-55, 1956-57 და 1958-59 წლებში დაბადებულთათვის ცალ-ცალკე).

გოგონათა ერთეულებში (ასაკობრივი ჯგუფების თანმიმდევრობით) სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს ნ. ჩხაიძემ, ხ. კეკელიამ, მ. ელერდაშვილმა და ლ. აბუაშვილმა. პირველი სამი თბილისელია, ხოლო აბუაშვილი ჭიათურის რაიონის ღირსებას იცავდა. მართალია, იგი გლდანის მე-2 სპორტულ სკოლა-ინტერნატში სწავლობს, მაგრამ, დებულების თანახმად, სპორტული ინტერნატების მოსწავლეები იმ რაიონების სახელით გამოდიან, რომელთა მკვიდრებიც არიან.

ჭაბუკთა ერთეულებში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ თბილისელები — ვ. ოსიპოვი, თ. ასლამაზოვი, ა. ახვლედიანი და გ. ელერდაშვილი.

წყვილთა ასპარეზობა მხოლოდ ერთ ასაკობრივ ჯგუფად გაიმართა. გოგონათა წყვილებს შორის გაიმარჯვეს თბილისელებმა ი. მირიმანოვამ და კეკელიამ, ჭაბუკებში — თბილისელმა გ. გუნჩინმა და აფხაზეთის წარმომადგენელმა ა. გეგეჭკორმა (ამ უკანასკნელის გამარჯვება უთუოდ სასიამოვნო გამონაკლისია). შერეულ წყვილებში პირველობა იზეიმეს თბილისელებმა — მ. ელერდაშვილმა და ვ. ოსიპოვმა.

სასიამოვნო ფაქტია ისიც, რომ თბილისელი გამოცდილი მწვრთნელების, ვეტერანი ჩოგბურთელების ივანე და არჩილ ელერდაშვილების შვილებმა მარინე, გია და ლალი ელერდაშვილებმა საპრიზო ადგილები მოიხვეჭეს. მარინე და გია, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ, ხოლო არჩილის გოგონა, ლალი, 1958-59 წლებში დაბადებულთა შორის გამართულ შეჯიბრებაში III ადგილზე გავიდა.

კიდევ ერთი: არც ისე დიდი ხანია, რაც გლდანის მე-2 სპორტულ სკოლა-ინტერნატში ჩოგბურთის ჯგუფები გაიხსნა და აი, ნაყოფი უკვე ჩანს. ამ სკოლის აღსაზრდელებმა შესამჩნევად აიმაღლეს ოსტატობა და ახალბედები უშელავათოდ ეთამაშებიან მათზე გამოცდილ ჩოგბურთელებს.

ჯ. ენუქიძე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: სამი ელერდაშვილი (მარცხნიდან) — მარინე, გია და ლალი.

ბ. ქვათაძის ფოტო.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

დღეს ქ. რუსთავში, ხალხთა მეგობრობის პროსპექტზე №41, გაიხსნება სპეციალიზებული სპორტული მაღაზია „მეტალურგი".

ახალ სპორტულ მაღაზიაში მოსახლეობას შეუძლია შეიძინოს სპორტული და სხვა საქონელი: ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟისა და საგალანტერიო ნაწარმი, ველო, მოტო, ფოტო, რადიოსაქონელი, ტურისტული და სათევზაო მოწყობილობანი.

საქსპორტვაჭრობის დირექცია.

გაზეთ „ლელოს" რედაქციის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა
ანა (ნადია) სტეფანეს ასული ხუციშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. (8) უე 03302